

დავით დარჩია: ბოლო სამი წელი ნამდვილად იყო განვითარების დასაწყისი

პირველი სხლომ დღეს გაიმართება



21 ნოემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის მოწვევის საკრებულოს ბოლო სხლომა გაიმართა. საკრებულოს თავმჯდომარის დავით დარჩიას თქმით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თავისი უფლებამოსილება ეფექტურად განახორციელა. ამის დასტურია, არაერთი

განხორციელებული პროექტი, ერთად მიღებული გადაწყვეტილებები. გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების მიხედვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო საუკეთესოთა შორისაა. დავით დარჩიამ მადლობა გადაუხადა არასამთავრობო ორგა-

ნიზაციებს მჭიდრო და კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის, მედია სექტორს - საკრებულოს საქმიანობის გაშუქებისთვის, თითოეულ ამომრჩეველს - ნდობისა და გადაწყვეტილების ერთად მიღებისთვის.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ერთ-ერთი პირველია, ვინც მნიშვნელოვან საერთაშორისო ინიციატივაში ჩაერთო და ღია მმართველობა-პარტნიორობის წვერი გახდა.

„ამასრულებელ ხელისუფლებასთან კოორდინირებული თანამშრომლობით, ჩვენ შევძელით ბოლო სამი წლის განმავლობაში, ბიუჯეტი საკუთარი შემოსავლების ნაწილში, დაახლოებით 2 მილიონ 100 ათასი ლარით გაგვეზარდა, რაც 2014

წლის მაჩვენებელთან შედარებით 66%-ით მეტია. ეს არ არის მხოლოდ ეფექტური ციფრი, ამის უკან თითოეული თქვენგანის, საკრებულოსა და გამგებების წარმომადგენლების, პროფესიული, თავდაუზოგავი შრომის შედეგი დგას.

მადლობა თქვენ, ჩემო კოლეგებო, მადლობა გამგებებს და მის გუნდს, მხარის ადმინისტრაციას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედია საშუალებებს, საკრებულოს აპარატის თითოეულ თანამშრომელს, რომლებიც პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობითა ასრულებენ დაკისრებულ ვალდებულებებს. და ბოლოს, ყველაზე მთავარი, მადლობა ოზურგეთელებს ნდობისთვის, ყველა

პრობლემა ერთდროულად ვერ მოგვარდება, თუმცა ბოლო სამი წელი ნამდვილად იყო განვითარების დასაწყისი.

რამდენიმე დღეში საკრებულო ახალი შემადგენლობით გააგრძელებს ფუნქციონირებას. „ქართულმა ოცნებამ“ მადალი ნდობა მიიღო საზოგადოებისგან, საკრებულოში წარმოდგენილი უმრავლესობით. წინ ახალი გამოწვევებია, ჩვენ ერთად უნდა გავაგრძელოთ დაწყებული წინსვლა და განვითარება. წარმატებებს ვუსურვებ 2017 წლის მოწვევის საკრებულოს თითოეულ წევრს, გავემართლებინოს ნდობის ის მანდატი, რომელიც ამომრჩეველმა მოგვანიჭა.“ - განაცხადა სხლომაზე დავით დარჩიამ.

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალარჩეული, 2017 წლის მოწვევის საკრებულოს პირველი სხლომა დღეს 27 ნოემბერს გაიმართება. ქ. ოზურგეთის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის გაუქმების შემდეგ, ორი მუნიციპალიტეტის გაერთიანების შედეგად, ოზურგეთის საკრებულოს სულ 46 დეპუტატი ვყოლება - 31 მაჟორიტარი და 15 პროპორციული. ახალი მოწვევის საკრებულოში უზრუნველდება „ქართულ ოცნებანა“ - 27 მაჟორიტარი და 9 სითი. საკრებულოში 4 დეპუტატი იქნება წარმოდგენილი „ნაციონალური მოძრაობა“, აქედან 2 მაჟორიტარი. თითო წევრი ჰყავთ „ევროპულ საქართველოს“, „ლეიბორისტულ“ (შრომის)პარტიასა და „პატრიოტთა ალიანსს“, სამი დეპუტატი კი დამოუკიდებელია.



კ ა რ ტ ლ ი რ ნ ი

უბველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .

მრავალკვირეული გამოცემა. № 47 (10241) 27 ნოემბერი, 2017 წ. შპსი 50 თეთრი.

„სკოლა, ოჯახთან ერთად არის მოცემული, რომელიც თვისობრივად აყალიბებს ადამიანს“


ალიონი. გასულ პარასკევს ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლაში საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის, სკოლის კურსდამთავრებულის, ოზურგეთის საპატრიოტ მოქალაქის გიორგი კეკელიძის მიერ განხორციელებული პროექტების პრეზენტაცია გაიმართა. უნდა აღინიშნოს, რომ ფონდ „გურული დღიურების“ ერთ-ერთი სტიპენდიანტი, ამ სკოლის მოსწავლე ქეთი ქობულაძეა. გიორგი კეკელიძემ პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და მოწვეულ სტუმრებთან განაცხადა: -სკოლა, ოჯახთან ერთად არის მოცემული, რომელიც თვისობრივად აყალიბებს ადამიანს. გადაყავს ცხოვრების ახალ ეტაპზე, და მით უფრო ის სკო-

ლა, რომელიც მე მაშინდელ დროში შევუღებ, უმეტესი თვეგანი მაშინ ასწავლიდით, რაც გულისხმობდა სერიოზულ გამოწვევებს. მე მახსოვს მაშინდელი სკოლის ფანჯრები, რომელიც უმეტესად „ცელოფნის“ ფარდებით იყო აღჭურვილი, მახსოვს სკოლაში მორიგეობით დაგვქონდა შემა, რომ ერთმანეთი გაგვეთბო და მახსოვს ისიც, რომ მიუხედავად ამ სირთულეებისა, თითოეული თქვენგანი გვაწავლიდით ყველაფერს იმისთვის, რომ ჩვენ შემდეგ ეს აღარ დაგვჭირებოდა. მე მგონია, ეს მაღალი დიდი და მნიშვნელოვანი ამბავია, რომლის რეფლექსია ვერ კარგად არ მომხდარა. ეს ხდებოდა მთელ საქართველოში.



ოზურგეთის ორთხი კანდიდატიდან ორი ოზურგეთელია


საქართველოს მოქმედ სახალხო დამცველს ბატონ უჩა ნანუაშვილს უფლებამოსილების ვადა ეწევა. ოზურგეთის ორთხი დასახელებული კანდიდატიდან ორი ოზურგეთელია - **ნინო ლომჯარია** და **ვასუშტი მენაბდე**. ეს ფაქტი უპრეცედენტოა იმიტომ, რომ ორივე კანდიდატი ახალგაზრდა კვადრატის „ლიბერთა სკოლის“ აღზრდილია.



ნინო ლომჯარია

დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით, სენტ-ლუისის(აშშ) ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა.

2005 წლიდან მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში; იყო ამ ორგანიზაციის საარჩევნო პროექტების ხელმძღვანელი. ავტორია ათზე მეტი ანგარიშისა საარჩევნო, ანტიკორუფციული, კონსტიტუციური სამართლის საკითხებზე. არის არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" აღმასრულებელი დირექტორი. მუშაობდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილედ.



ვასუშტი მენაბდე

დაამთავრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. სოციოლოგიის მაგისტრი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის ოსუ, ს იურიდიული ფაკულტეტი, ბაკალავრი.

2015.VI-დან დღემდე არის ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; 2016.XII - 2017.V - სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი; 2016.II-2017.X-საქართველოს საზ. საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), ადამიანის უფლებების პროექტის ხელმძღვანელი; 2013.III-2015.I- ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ინსტიტუციური რეფორმების ხელშეწყობის პროგრამის დირექტორი; 2010.IX-2013.II - საია-ს წარმომადგენელი საკონსტიტუციო სასამართლოში და პროექტის - გამჭვირვალება და ანგარიშვალდებულება - იურისტი; 2011.I-2012.II - საია-ს შპმ პირთა უფლებების ექსპერტი; 2015-XI-დან დღემდე საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული შპმ პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის წევრი.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;
- სამკვლევარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;


საცალო ფასი: 50 თეთრი, ხელმოწერა:
ერთი თვით - 2 ლარი,
სამი თვით - 6 ლარი,
6 თვით - 12 ლარი,
ერთი წლით - 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურების
რედაქციის
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani@rambler.ru
 558 499100
 საინფორმაციო სამსახურის
 ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
 tem52@mail.ru
 599 373515
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადაამუშავებული და უმეფუთველი ტექნოლოგიების მე-17 საერთაშორისო გამოფენა



ალიონი. 20-22 ნოემბერს, ქალაქ თბილისში საგამოფენო ცენტრმა „ექსპოჯორჯია“ სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადაამუშავებული და უმეფუთველი ტექნოლოგიების (**Agro/Food/Drink/ Tech**) მე-17 საერთაშორისო გამოფენას უმასპინძლა. გამოფენა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერითა და „ექსპოჯორჯიას“ ორგანიზებით გაიმართა. პირველ რიგში, დიდი მადლობა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოზურგეთის სოფლის მეურნეობის სამმართველოს, რომელმაც უზრუნველყო ამ გამოფენაზე ადგილობრივი მედიასაშუალებების დასწრება.

ვერ გეტყვით, როგორი იყო წინა გამოფენები, მაგრამ ამჟამინდელი რომ გრანდიოზული გახლდათ, ამის თქმა ნამდვილად შეგვიძლია. აკაკი წერეთლის 116-ში განლაგებულ საექსპოზიციო პავილიონებში თავიანთი პროდუქტები და ტექნოლოგიები წარმოადგინა 16 ქვეყნის 100-მდე კომპანია. ყველაზე მასშტაბურად იყო წარმოდგენილი ბელარუსი. როგორც გამოფენაზე გვითხრეს, ბელარუსის გამოფენა „Made in Belarus“ წარმოადგინა 9 კომპანია, დაფასებისა და მეფრინველების ქარხნებმა, უმსხვილესმა ეროვნულმა საკონდიტრო საწარმოებმა, ძეგველის, ბავშვთა კვების პროდუქტების, ასევე

მეტოქური დედებისათვის ვიტამინიზებული დაკონსერვებული საკვების მწარმოებელმა კომპანიებმა. „Made in Belarus“ ორგანიზებული იყო ბელარუსის სავაჭრო და ს-ამრეწველო პალატის, გაერთიანებული საგამოფენო ორგანიზაცია „ბელინინტერექსპოს“ მიერ, საქართველოში ბელარუსის რესპუბლიკის საელჩოს მხარდაჭერით. მე-17 საერთაშორისო გამოფენა გახსნა და ამ ღონისძიების მნიშვნელობაზე ისაუბრა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ გიორგი ხანიშვილმა: „დღევანდელ გამოფენაზე წარმოდგენილია უამრავი მონაწილე, რომელთაც სურვილი აქვთ, დაათვალიერონ, შეიძინონ, გაიციონ ის ტექნოლოგიები, რომლითაც მსოფლიო ამყობს და ვფიქრობ, ჩვენი ფერმერები ძალიან მალე დანერგავენ ამ გამოფენაზე წარმოდგენილ მიღწევებს თავიანთ ფერმებსა და საწარმოებში“. წარმოდგენილი იყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მანქანა-დანადგარები, ტარა და შესავსები მასალები, სასათბურე მეურნეობის ტექნოლოგიები და აღჭურვილობა, სარწყავი სისტემები, ლაბორატორიული აღჭურვილობა, სარგავი და სათესლე მასალები, სასუქები და პესტიციდები, საკონსულტაციო მომსახურება და თანამედროვე ტექნოლოგიები. გამოფენაზე გურიის მუნიციპალი-

ტეტებიდან ორგანიზებულად ჩასული სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ფერმერები და ბიზნესმენები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ბელარუსის, ჩინეთის, კორეის, პოლონეთის, იტალიის, ნიდერლანდების პროდუქციითა და ტექნოლოგიებით. სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადაამუშავებული და უმეფუთველი ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოსა და კავკასიის რეგიონში ინდუსტრიის განვითარებას და ქვეყნის ეკონომიკურ წინსვას უცხოური კომპანიების ბაზარზე შემოყვანით და ადგილობრივ კომპანიებთან დაკონტაქტებით. საგამოფენო ცენტრ „ექსპოჯორჯიას“ ორგანიზებითა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით მოწყობილ სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადაამუშავებული და უმეფუთველი ტექნოლოგიების მე-17 საერთაშორისო გამოფენას 2300-მდე მცირე ფერმერი სტუმრობდა საქართველოს ყველა რეგიონიდან. ფერმერებს საშუალება მიეცათ პირდაპირი კონტაქტები დაემყარებინათ მეწარმეებთან, გაცნობოდნენ ახალ ტექნოლოგიებს და სოფლის მეურნეობის სექტორში მიმდინარე სიახლეებს.

„სკოლა, ოჯახთან ერთად არის მოცემული, რომელიც თვისობრივად აყალიბებს ადამიანს“



ჩვენ ვართ იმ ინერციის ნაწილი და დღესაც გვაქვს ბევრი სირთულეები და მე მგონია ახლა სხვა გამოწვევების დროა – აღნიშნა გიორგი კეკელიძემ. გიორგი კეკელიძემ სკოლის ბიბლიოთეკას მხატვრული ლიტერატურა გადასცა. მანვე წამოაყენა წინადადება, რომ სკოლის ბიბლიოთეკას ეწოდოს ამ სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, აწ გარდაცვლილ ანა ბერძენიშვილის სახელი. სიტყვებით გამოვიდნენ: გურიის გუბერნატორის მოადგილეები ქეთი მოისწრაფიშვილი, ვია ებრაღიძე,

საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ლელა იმედაშვილი, ფონდ „გურული დღეების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მანანა აბაშვიძე, ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი ბესო ბაჯელიძე, თავისუფალი პროფკავშირების ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე როზა ვოგუაძე; №1 საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ლალი გიგინეიშვილი, მასწავლებლები ნანი სალუქვაძე და სხვები. სკოლის დირექტორმა მათა თავართქილაძემ მადლობა გადაუხადა სკოლის აღზრდილს თანადგომისთვის.

პროფესორ კ. მარდალეიშვილის კლინიკის ძირუბები ოზურგეთში

25 ნოემბერს, ქალაქ ოზურგეთში, კლინიკა „მედალაში“ უფასო კონსულტაციები ჩაატარეს თბილისის პროფ. კ. მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრიდან მოწვეულმა ქირურგებმა. კონსულტაციები ჩატარდა ყბა-სახის (პირის ღრუს დაავადებები, ჰიმორის წიაღის პათოლოგიები, რეტენციული

(ამოუჭრელი) კბილების პათოლოგიები და ა.შ), თავ-კისრის (ხალხი, ფარისებრი ჯირკვალი), პათოლოგიებზე. „მედალაში“ კლინიკის მენეჯერის დავით მდინარაძის ინფორმაციით, უფასო გასინჯვებითა და კონსულტაციებით ამ დღეს მრავალმა ოზურგეთელმა ისარგებლა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „ეტალონი მოსწავლე“ ქეთი ხომერიკია

საქართველოს ეროვნულ-ინტელექტუალური ჩემპიონატი ოზურგეთის ეტალონი მოსწავლის გამოსავლენად სოფელ დიმიტის კულტურის სახლში ჩატარდა. ინტელექტ ჩემპიონატს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები, სკოლების დირექტორები, პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები ესწრებოდნენ. კონკურსში ზემო ნატანების საჯარო სკოლის მოსწავლე ქეთი ხომერიკმა გაიმარჯვა. მას „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეტალონი მოსწავლის ტიტული მიენიჭა. ქეთი ხომერიკი ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატის გრანდიოზულ ფინალში მიიღეს მონაწილეობას. „ეტალონი 2017-2018 სასწავლო



წელს საქართველოს ყველა ქალაქსა და მუნიციპალიტეტს ესტუმრება და ადგილზევე გამოავლენს „ეტალონ მოსწავლეს“

„ეტალონი“ მთისპირში



საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის“ წამყვანი გონა ტყემელაშვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, სოციალური დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსთან მაიზურ ცელაძეთან და ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან, ლელა იმედაშვილთან ერთად, მთისპირის საჯარო სკოლას ესტუმრა. „ეტალონის“ შემოქმედებითა ვგუფმა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეტალონ მოსწავლეს“, პროექტის შარშანდელ გამარჯვებულს - ნინო სარიშვილს სკოლის ღირსეული წარმომადგენლის ოქროს ფონდის წევრობის დამადასტურებელი სიმბოლური საჩუქარი გადასცა.

დაიწყეთ ყოველი მიზნობრივი აქცია
 «ალიონით»

„მე მიხდა, რომ ჩემი ქალაქი იყოს ადაპტირებული და თავისუფლად შეიძლოს გადაადგილება“ ...



გასულ ორშაბათს, ასოციაცია „გურიას“ ბენეფიციარმა **თამუნა ლურსმანაშვილმა** ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, ადგილობრივ მედიასთან ბრიფინგი გამართა, სადაც მან, ქ. ოზურგეთის მერიის თანამშრომლებისა და ერთ-ერთი ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელის მიერ ორი დღის წინ სოციალურ ქსელში მის ფოტოზე გაკეთებული კომენტარების მიზეზი ახსნა.

– მიხდა თქვენთვის განვმარტო და საზოგადოებას აუხსნა, თუ რატომ გადავიქციე „ანგლოზი ემმაკად“, რა დანაშაული მაქვს ჩადენილი, თუ რატომ მიწოდეს „უმაღური“ და რატომ მოხდა სოციალურ ქსელში ასეთი თავდასხმები.

ამის მიზეზი ის არის, რომ გამოვხატე ჩემი აზრი და ღიად დაუჭირე მხარი დამოუკიდებელ მერობის კანდიდატს და ჩემი უფლებები დავიცავი.

მე მიხდა, რომ ჩემი ქალაქი იყოს ადაპტირებული და თავისუფლად შემძლოს გადაადგილება. კი ნამდვილად კეთდებოდა პანდუსები, მაგრამ ვერ ვსარგებლობთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. მე ვამბობდი, რომ ყოველივე ეს იყო ფასადური და პანდუსზე ორი ადამიანის დახმარების გარეშე ვერ ახვალ.

ამას ჰქვია გაკეთებული? მე ვთანამშრომლობდი ბატონ ბეგის სიორიძესთან, ქალაქის მერიასთან შეიქმნა კიდევ სათათბირო საბჭო, რომელშიც ჩართული მეც ვიყავი, მაგრამ, რა საკითხებიც დავაყენე მაშინ, იგივე სველი წერტილების არარსებობა ქალაქში, თუ სხვადასხვა მოსაგვარებელი პრობლემები, არაფერი არ გაკეთდა და ფაქტიურად აღარ ფუნქციონირებდა ეს საბჭო.

ჩემს მიმართ გაღიზიანება წამოვიდა მას შემდეგაც, რაც მერის პრეს-სამსახურის უფროსმა ხათუნა შარაძემ დამირეკა და მიხოვა, მონაწილეობა მიმელო ბეგის სიორიძის მხარე-დამჭერ კლიპში და უნდა მეთქვა მხოლოდ ის, რაც კარგი გაკეთდა, ვუთხარი, რომ მე წინააღმდეგი ვარ ამის, რადგან თუ ვიტყვი კარგს, მაშინ უნდა ვთქვა ის, რაც არ გაკეთდა.

ეკა ნინიძის მიერ ნათქვამი სიტყვა „უმაღურობა“ კი უკავშირდება იმას, რომ მე მხარი ღიად დაუჭირე დამოუკიდებელ კანდიდატს, კონსტანტინე შარაშენიძეს და როგორც ეკა ნინიძეს ჰგონია, ამით ბეგლარ სიორიძის მისამართით გამოვხატე უმადურობა. არავის არ ეგონოს ის, რომ მე ახალარჩეულ მერთან არ დავაყენებ იმ პრობლემებს, რაც არის ოზურგეთში და არ მოვიტხოვთ მის მოგ-

ვარებას. მე მიხდა ხვალინდელი ოზურგეთი იყოს უკეთესი.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ გამოხატვის თავისუფლება, საკუთარი პოზიციის დაცვა ან დამოუკიდებლად გაკეთებული არჩევანი ნიშნავს იმას, რომ „ანგლოზი“ გადაიქცევი „ემმაკად“, მაშინ საერთოდ არავის არ აქვს უფლება დამოუკიდებლად იაზრონოს და მიიღოს გადაწყვეტილება?

მე ისევ ის თამუნა ლურსმანაშვილი ვარ და მიხდა ეს კარგად იცოდეს საზოგადოებამ, თუ რატომ წამოვიდა ჩემს მიმართ ეს აგრესია რამდენიმე ადამიანის მხრიდან. რაც იმ დღეს მოხდა, მე ძალიან ვინერვიულე და ძალიან განვიცადე – განაცხადა თამუნა ლურსმანაშვილმა.

მანვე უზრუნველყო მითან ასევე განაცხადა, რომ იგი მერიის თანამშრომელ ხათუნა შარაშენიძეს, მარინა ვასადისვან და ბაღების გაერთიანების უფროს ეკა ნინიძისგან ბოდიშის მოხდას ითხოვდა. ჩვენ დასახელებულ პირებს დაუკავშირდით:

ხათუნა შარაძე, ქ. ოზურგეთის მერიის პრეს-სამსახურის უფროსი: – დავიწყეთ იმით, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს. თამუნა ლურსმანაშვილი კი ამ სიტყვების ნათელი მაგალითია, რომელიც საზოგადოების სრულფასოვანი წევრი ყოველთვის იყო და არის! პირადად მე არაერთხელ მითანამშრომლია თამუნასთან. ვინაიდან თამუნა ლურსმანაშვილთან დაკავშირებული მოვლენები ჩემთან კავშირშიც განიხილება და საზოგადოების მაღალი ინტერესი გამოიწვია, მიხდა ყველამ სრული სიმართლე იცოდეს და არა კონტექსტიდან ამოვღევილი ფაქტებზე დაყრდნობით იმსჯელოს.

მიმდინარე წელს, თვითმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მერობის კანდიდატი ბეგი სიორიძე ოზურგეთში არსებულ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე ასოციაცია

„გურიას“-ს სახელით თამუნა ლურსმანაშვილიც იმყოფებოდა. შეხვედრაზე მერობის კანდიდატის ბეგი სიორიძის მერობის პერიოდში განხორციელებული და მერად არჩევის შემთხვევაში განსახორციელებელი პროექტები განიხილეს და შეაფასეს, სადაც თამუნა ლურსმანაშვილმა მერის საქმიანობა დაეხილათ შეაფასა, თემცა აღნიშნა, რომ ქალაქში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის სათანადო გარემო.

P.S არსებობს ამ შეხვედრის ვიდეო ჩანაწერიც, რომელიც მერობის კანდიდატის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე გავრცელდა. ვინაიდან თამუნა ყოველთვის აქტიურად გამოხატავდა კეთილგანწყობას ბეგლარ სიორიძის მიმართ და სამი წლის მანძილზე ინტენსიურად თანამშრომლობდა, როგორც მერთან, ასევე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის საკითხებზე. სწორედ მისი პირადი კეთილგანწყობის გამო გადავწყვიტეთ, რომ თამუნა ლურსმანაშვილისთვის შეგვეთავაზებინა, მერობის კანდიდატის მხარდასაჭერ ვიდეორგოლში მონაწილეობის მიღება. მან მიიღო შეთავაზება და გეთხოვა, მისთვის მერიის საარჩევნო პროგრამა გაგვეცნო. აქ საუბარიც კი ზედმეტია დაძალებზე. თუმცა ამის შემდეგ თამუნა ლურსმანაშვილი აღარ შეგვხვდებოდა. ჩემთვის გაუგებარია, თუ რისთვის დასჭირდა ლურსმანაშვილს ჩემი სატელეფონო საუბრის ამდგავარი ინტერპრეტაცია. რაც შეეხება სოციალურ ქსელში გავრცელებულ ფოტოს, ბრალდებების ადრესატი მე ვერაწიად ვერ ვიქნები, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აღნიშნულ ფოტოზე, გარდა ფოტოს სათაურისა, „ჩვენ ერთად გადავლახავთ ბარიერებს“, სხვა კომენტარი არ დამიწერია. ყველაფერთან დაკავშირებით, რაზეც ვისა-

უბრე, არსებობს ფაქტები. დასკვნა კი საზოგადოებამ გააკეთოს.

მარინა ვასაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების და გენდერული თანასწორობის სამსახურის განყოფილების უფროსი:

– „უმაღურობა“ ანგლოზი ემმაკად აქცია“ – ეს არის მამა პეტრეს სიტყვები და ეს არ ეკუთვნოდა კონკრეტულად თამუნა ლურსმანაშვილს; ვგულისხმობდი, ზოგადად, საზოგადოებას. თამუნასთან მქონდა კარგი ურთიერთობა. ზოგადად, ადამიანები მაღლიერები უნდა იყვნენ ერთმანეთის. ეტყობა ვიღაცები არიან ამ თემით დაინტერესებულნი, რომ ჭიქაში ატყდეს ქარიშხალი. მე თამუნას ბოდიშში მოვიხადე ამ გაუგებრობის გამო და ვფიქრობდი, რომ პრესკონფერენციაზე დამიძახებდნენ, სადაც უზრუნველყოფით გაგაკეთებდი ახსნა-განმარტებას და თუ საჭირო განდებოდა კვლავ ბოდიშს მოვიხდოდი. სამწუხაროდ, ისეთ მდგომარეობაში მომაქციეს, სასწრაფო დახმარება დამჭირდა, ისე ვინერვიულე და აქეთ ვარ დაზარალებული.

ეკა ნინიძე, ა(ა)იპ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების უფროსი: – რაც შეეხება თამუნა ლურსმანაშვილის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს, შემეძლია ერთი რამ ვთქვა: ჩემთვის, ეკა ნინიძისთვის შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს. ყველა ადამიანი თანასწორი უფლებიანია. რაც შეეხება მოცემულ შემთხვევას, კიდევ ერთხელ მიხდა ვთქვა: არსებობს ორი ადამიანი?! იქვე არსებობს ორი აზრი. ჩემი პოზიცია ისევ ისეთია, რაც სოციალურ ქსელში დავწერე: ადამიანს გაკეთებული სიკეთე არ უნდა დაუკარგო. ყველაფერი არჩევნებამდე და პოლიტიკამდე არ უნდა დაიყვანოს. ამ აზრზე ვიყავი და ვარ დღემდე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა სადემონსტრაციო ნაკვეთი ეპარქიას გადასცა

ბოლო წლებში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს გურული მეღვინეობის აღსადგენად, რისთვისაც ხდება გურული ვაზის ჯიშების მოძიება-გაშენება.

ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის არასამთავრობო ორგანიზაცია „გურული ვაზის“ (ანდრო ვაშალიძე) და კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობას“ („ზურაბ ჩხაიძე). სწორედ აღნიშნულმა კომპანიამ 2-3 წლის წინ ათეულობით ათასი ძირი ვენეხის ნერგი შეიძინა საგურამოს (ჯილაურა) სანერგე მეურნეობაში და უფასოდ გადასცა გურულ ფერმერებს სამივე მუნიციპალიტეტში და ასევე ქედელ მევენეხეებს.

გამოდის ვაზით „ალიონის“ დამატება „გურული ვაზი“, სადაც არაერთი სტა-

ტია დაიბეჭდა რეგიონში მევენახეობის პერსპექტივებზე და გურულ მევენახეებზე...

რამდენიმე წლის წინ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სოფელ ლიხაურისა და ჭანეთის საზღვარზე 4,4 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სადემონსტრაციო ნაკვეთზე დაიწყო უნიკალური ხილის და გურული ენდემური ვაზის ჯიშების გაშენება, რომელიც ა(ა)იპ ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრს გადასცა.


გასულ სამშაბათს წინა მოწვევის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ბოლო სხდომა გამართა, სადაც საკრებულოს დეპუტატებმა განიხილეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი

ქონების გურიის ეპარქიისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

– რამდენიმე წლის წინ საფუძველი ჩაუყარეთ გურული ენდემური ვაზის ჯიშების გაშენებას, ამისთვის სპეციალური ნაკვეთი გამოიყო, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა. დღეის მდგომარეობით და საქართველოს კანონმდებლობაში შესული ცვლილებების თანახმად, მუნიციპალიტეტს აღარ გააჩნია იმ სამეურნეო და არასამეურნეო იურიდიული პირების არსებობის უფლება, რომლებიც მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას არ განეკუთვნებიან. აქედან გამომდინარე, ჩვენ მოვგმართა წერილით საპატრიარქომ და ითხოვა აღნიშნული მიწის ნაკვეთის გადაცემა იმავე პროცედურის შენარჩუნებით, რაც ჩვენ გავაჩნდა. ასე რომ, ამ განკარგულების მიზნით, კიდევ უფრო განვითარდება ის დაწესებულებები საქმე, რასაც უნიკალური გურული ვაზის ჯიშების შენარჩუნება და აღდგენა ჰქვია“, – აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ **არჩილ ყაჯაიშვილმა**.

დეპუტატებმა ერთხმად უყარეს კენჭი აღნიშნული ფართობის გურიის ეპარქიისათვის უსასყიდლო უზურფრუქტით გადაცემას.

– დღეს არის მთავარანგელოზობა და პირველ რიგში, ამ უდღეს დღ-



ესასწაულს გილოცავთ.

ხელისუფლებამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ქართული, გურული ჯიშების გამრავლება იგეგმება. წლებია ვმუშაობ ვაზის ჯიშების გამრავლებაზე. გურული ვაზის 30 ჯიშში მაქვს გაშენებული მცირე ნაკვეთი ეპარქიაში. ეს ადგილი მიხდა სავიზიტო ადგილი გახდეს სტუმრებისთვის და დავანტერესოთ ისინი გურული ვაზით. გაბრძნებით, შემოქმედის ეპარქია არ შეარცხვენს გურას და ყველაწიად ვეცდებით, გავამრავლოთ გურული ვაზის ჯიშები. ამას, რა თქმა უნდა, არ ექნება კომერციული ხასიათი. სასულიერო პირებთან და ხელისუფლებასთან ერთად,

გადავწყვიტეთ, გაკეთდეს სანერგე მეურნეობა. ჩვენს ახალგაზრდებს ვინდა, შევასწავლოთ გადაშენების პირას მყოფი ტრადიცია – ვაზის დამწანა.

„ადესას“ შემოსვლამ, შეიძლება ითქვას, გადაამუნა ქართული და ასევე გურული მეღვინეობა, ამიტომ რაც შეიძლება მეტი გურული ვაზის ჯიშები უნდა მოვიძიოთ. ამ საქმეს ჩვენ ფერმერ ანდრო ვაშალიძისთან ერთად ვაკეთებთ. 70 გურული ვაზის ჯიშში იყო და გვიდა 70-ვე ჯიშს მივაგნოთ და გავამრავლოთ. თუ თქვენ დავიჭერთ მხარს, უფრო მეტს საქმეს გავაკეთებთ“, – განაცხადა შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა საკრებულოს სხდომაზე.



უმხვედრა გურული ვაზის პერსპექტივებზე



ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის კლუბის ლიტერატურულ კაფეში „რვას+1“, საქართველოში მევენახეობის ტრადიციებზე, გურული ვაზის პერსპექტივებზე შეხვედრა გაიმართა.

მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის პროფესორმა გიორგი ბარისაშვილმა

ქართული ღვინის ისტორიასა და პერსპექტივებზე ისაუბრეს.

გიორგი ბარისაშვილი: — ჩვენი წინაპრებს ჰქონდა ვაზის საოცარი შეგროვება, ახლოს იყვნენ ბუნებასთან. საქართველოში იმდენად იყო მევენახეობა-მეღვინეობა განვითარებული, რომ უძველესი მარნები მაღალმთიან

უშგულშიც კი ჰქონდათ. იმდენად დიდი ისტორია აქვს ვაზის კულტურას საქართველოში, რომ ივანე ჯავახიშვილი ამბობს: „რქაწითელი“ ახალგაზრდა-იგი ჩვენი წელთაღივცხვის პირველ საუკუნეშია შექმნილი. გვაქვს ვაზის ჯიშები ძველი და ძველისძველი.

საქართველოს ეძახიან ნიად-აგის მრავალფეროვნების მუზეუმს. აქ 50 სახეობის მიწა-ნიად-აგია. თუ უცხოეთში ვაზი ზღვის დონიდან 500 მეტრზე მეტ სიმაღლეზე არ ხარობს, საქართველოში 1200-1300 მეტრ სიმაღლეზეც არის გაშენებული.

საქართველოში ვენახების ფართობი 40 ათასი ჰექტარია, მაშინ როდესაც საფრანგეთში ვაზი 1 მილიონ ჰექტარზეა გაშენებული, ხოლო ესპანეთსა და იტალიაში მეტ ფართობზე. მსოფლიო ჯიშში „კაბერნე“ „საფერავის“ შვილია.

ჩვენი პრობლემა ის არის, საქართველოში დამზადებული და

გაცივებული ღვინოების 90 პროცენტი ფალსიფიცირებულია.

საქართველოში გურია იყო მეღვინეობის ერთ-ერთი ცენტრი. ცნობილია გურული ქვევრი. „ჭარია“..გურიაში ხარობდა მალღარი ვენახი „ბაბილო...“ გურული „აგუნა“ XIX საუკუნის ბოლომდე შემორჩა. კალანდას ოჯახი შედიოდა მარანში და არა ბოსელში.

გურული ქვევრი იმდენად ღირებული იყო, რომ მიიღეს აჭარას და ქვემო იმერეთს ამარაგებდა ქვევრით-გურია იყო ვაზის მწვერვალი.

ერთ-ერთი საუკეთესო ჯიშში, რომელიც შეიძლება საფრანგეთს მოერგოს, არის გურული „საკმიელა“. „გურიაში“ დაწყებულია მუშაობა და გურული ჯიშები უნდა ავალორდინოთ.

ინგლისი არაა ტრადიციული ღვინის ქვეყანა. აქ მხოლოდ ერთ კოლეჯში ისწავლება „მეღვინეობა“, მაგრამ ვაზი 3000 ჰექტარზეა გაშენებული. ამჟამად ბრაიტონში ქართველებმა უნდა ა-

შენონ 50-ტონიანი მარანი. ინგლისელებს აინტერესებთ ჩვენებური ვაზის ჯიშების გაშენება. ვფიქრობ, ბრაიტონში, საცდელ ნაკვეთზე გურული „საკმიელა“ გაავაშენოთ.

უნდა ვეცადოთ, ავადგინოთ გურული ვაზის ჯიშები, ამისთვის უნდა შევქმნათ გურიაში საკოლექციო ნაკვეთი.

საიუნეტერესოდ ისაუბრა ფერმერული მეურნეობის შექმნაზე ახალგაზრდა მეღვინემ ბაია აბულაძემ.

საიტერესო დისკუსიაში მონაწილეობდნენ: პროფესორი **ზურაბ ძნელაძე**, გურიის სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომელი **კახა ტოტოჩავა**, გავით „ალიონის“ რედაქტორი **ნუგზარ ასათიანი**, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი **ზაზა ცხიძე**, ასოციაცია „გურული ვაზის“ დამფუძნებელი **ანდრო ვაშალოძე** და სხვები.

„მეღვინეობა ჩვენი ოჯახის ტრადიციული საქმიანობაა“

(ინტერვიუ ახალგაზრდა მეღვინე ბაია აბულაძესთან)



—ბაია, რა ფაქტორმა გადაწყვეტინა მეღვინეობაზე გეფიქრა და მცირე მეწარმე გამხდარიყავი?

—მეღვინეობა ჩვენი ოჯახის ტრადიციული საქმიანობაა, ბაბუა, ბონდო ღვალაძე პროფესიით მევენახე/მეღვინეა და სოფელში რჩევას აგრარულ პრობლემებზე ყველა მას ეკითხება, ვაზის მოვლა ტრადიციული საქმიანობაა და წლის ყოველი დრო თავისებურად დატვირთულია ვენახისა თუ ღვინის მოვლით. ბაბუა ყოველწლიურად მონაწილეობდა ღვინის ფესტივალებში და თან დაგვაავდიო. ჩვენთვის დღესასწაული იყო ახალი ღვინის ფესტივალზე დასწრება, ასევე ღვინის კლუბის ლექციებს ძალიან ხშირად ვესწრებოდი და ვხედავდი წარმატებულ, ძალიან ჭკვიან მეღვინეებს, ძალიან საინტერესო იყო მათი მოსმენა, ამ ყველაფერმა ჩემზე დიდი ზეგავლენა იქონია. 2015 წელს პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მივიღეთ მონაწილეობა და 5 000 ლარით დაგვაფინანსეს, რითაც ჩვენი ოცნება-ღვინის ბოთლებში ჩამოსხმა შეძელით.

— როგორ მიაღწიეთ პირველ წარმატებას და რა სახის ღვინოების გატანა შეძელით ბაზარზე?

—პირველი წარმატება საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წევრობა იყო, რის შემდეგაც გავვიცნო ძალიან ბევრმა მედია საშუალებამ, თითქმის ყველა ტელევიზია იყო ჩვენს პატარა სოფელ ობაში და ჩვენზე ბევრი გადაცემაც გაკეთდა. ჩვენზე წერდნენ ჟურნალ-გაზეთებში, ამ ყველაფერმა მოტივაციასთან ერთად ჩვენი ღვინის ცნობადობაც გაზარდა. ჩვენ, ჩვენი რეგიონისთვის დამახასიათებელ ჯიშებს და ღვინოს ვასხამთ, ესენია: „ცოლიკოური“, „ციცქა-ცოლიკოური-კრახუნა“, „ციცქა-ცოლიკოური“, „ოცხანური საფერე“. ღვინის ბოთლში ჩამოსხმისთანავე დაგვიკავშირდნენ ღვინის მაღაზიები, რესტორნები, სასტუმროები და დღეს ჩვენი ღვინო 40-მდე სხვადასხვა ობიექტში იყიდება.

— რა სახეობის ყურძენს წერათ, როგორი წესით, როგორი სახის ღვინოს გატანა შესაძლებელი ვეროპის ბაზარზე?

—ჩვენი საოჯახო მეურნეობა

ჰექტარანახევარზე გაშენებულ ვენახს მოიცავს, ძირითადად ამ ჯიშებზე ვართ ორიენტირებული- „ცოლიკოური“, „ციცქა“, „კრახუნა“, „ოცხანური საფერე“, თუმცა ბევრი სამომავლო გეგმა გვაქვს ახალი ნაკვეთის გაშენების. ვიყენებთ როგორც ტრადიციულ, ქვევრში ღვინის დაყენების, ასევე ევროპულად (ჭაჭასთან კონტაქტის გარეშე) ღვინის დაყენების მეთოდს. ევროპის ბაზარი და ზოგადად მთელი მსოფლიოს ღვინის სექტორის ყურადღება ქართულ უძველეს ქვევრის ღვინის ტრადიციასზეა მიპყრობილი. ჩვენ ჯერ-ჯერობით მცირე რაოდენობის ღვინო გავიტანეთ ევროპის ბაზარზე. „ბაიას ღვინით“ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც დაინტერესდნენ.

—როგორია დღონორი ორგანიზაციების დახმარება და რაში გამოიხატება იგი?

—ღონორი ორგანიზაცია ჩვენითვის „აწარმოე საქართველოში“ იყო, რამაც ჩვენი მცირე ბიზნესის დაწყების შესაძლებლობა გაგვინიხა.

— უცხოელების დაინტერესება „ბაიას ღვინოს“ გარშემო როგორია და რა კავშირები გაქვთ უცხოეთთან? (ვიზიტები, თვეთან ჩამოსული უცხოელები და ა.შ.)

—ძალიან ბევრი უცხოელი გვსტუმრობს შუაგულ იმერეთში, ძალიან გრძელ გზასაც გადაინჩვენს ობამდე მოსასვლელად იმისათვის, რომ ადგილზე დაგვმოვნონ ჩვენი ღვინო, გაეცნონ ჩვენს ტექნოლოგიას, მონახულონ ვენახები, ნახონ ტრადიციული სოფელი და დაგვმოვნონ ტრადიციული კერძები. საოჯახო სასტუმროშიც ბევრი სტუმარი ჩამოდის და სოფლის გარემოში მშვიდად ისვენებენ. ასევე გვყავს ხოლმე მონახლისეებიც, რომლებიც ჩვენთან მუშაობენ და ყოველდღიურ საქმიანობაშიც გვეხმარე-

ბიან. ხშირად ჩვენც გვიწვევს უცხოეთში წასვლა სხვადასხვა გამოფენასა თუ კონფერენციასზე დასასწრებად. ბოლოს ჩემი და ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო და მეწარმარმეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებაში იღებდა მონაწილეობას.

— როგორ აპირებთ საოჯახო მეურნეობის გაფართოებას და რა სახის სერვისებს სთავაზობთ ქართველ და უცხოელ ტურისტებს?

—ჩვენი ძალიან დიდი მიზანია მივიღოთ მეტი ცოდნა მეღვინეობაზე, მევენახეობაზე, ჩემი დამა აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ- ჩემი და აგრონომიის სამაგისტრო პროგრამის, ძმა კი მეღვინეობა/მევენახეობის საბაკალავრო პროგრამის. ცოდნასთან ერთად ჩვენი მშობლები ძალიან ბევრ საქმეს ითავსებენ ერთად. ორივე პედაგოგია და არასამუშაო საათებს სულ მეურნეობას და ერთობლივ საქმეს ახმარენ. ჩვენთან მოსულ ტურისტს გემრიელი და ეკოლოგიურად სუფთა კერძების

მირთმევა შეუძლია, ასევე დარჩენა და ღვინით ტკობა.

— რას ურჩევდით დამწყებ მეღვინეებს?

—ჩემი მოკრძალებული რჩევა იქნება განაგრძონ თავიანთი ჩაფიქრებული საქმე, გაიდრმაგონ ცოდნა ყველანაირი საშუალებით და მათ მიერ დაწურული ღვინით მონაწილეობა მიიღონ ღვინის გამოფენებზე და ფესტივალებში. ასევე ტურისტების დაინტერესება ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო საქმეა, რაც ბიზნესს ძალიან ეხმარება

— სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი?

—მინდა სოფელი ობა გახდეს ცნობილი და საყვარელი იმათთვის ვინც აქ ცხოვრობდა. სოფელში მიგრაციული პროცესი შეჩერდა და რამდენიმე ოჯახი დაბრუნდა, რომ ვაზი გააშენოს. სამომავლოდ ფერმერული მეურნეობის გაფართოებას გვეგმათ.

გაზეთი „ალიონი“



როგორ მხარეობს ევროკავშირი საქართველოს სურსათის უვნებლობის სტანდარტების დანერგვაში

რეზო კაჭკაჭიშვილი: „რაც მთი ინფორმაცია მხმებათ მფარმევეს თანამედროვე სურსათის წარმოების სტანდარტებზე, მათ შორის HACCP-ზე, მით მფარმევეს უნდა აწარმოოს უვნებელი პროდუქტი, რაც პოტენციურად ზრდის შესაძლებლობას ქართული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე დასაბრუნებლად“



რეზო კაჭკაჭიშვილი

რძის გადამამუშავებელი საწარმოს მფლობელია, რომელიც ახალციხის რაიონის სოფელ ურაველში, თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 220 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. 45 წლის კაჭკაჭიშვილი საბერძნეთიდან საქართველოში 2012 წელს დაბრუნდა.

სამშობლოში დაბრუნებულმა, დაზოგილი თანხით ბიზნესის დაწყება გადაწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილება არ ჰქონდა და მხოლოდ სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიის დიპლომის ფლობდა, რძის გადამამუშავებელი საწარმო გახსნა.

თავდაპირველად საწარმო 60 კვმ-ზე იყო განთავსებული და ოთხი ადამიანი მუშაობდა. საწარმო დღეში 300 ლიტრ რძეს ამუშავებდა, რისგანაც ყველს, ხაჭოსა და ნაღულს ამზადებდნენ. დღეს კომპანიაში 25 ადამიანი დასაქმებული, რძეს რეგიონის ექვსი სოფლის ფერმერებისგან იბარებენ და ოთხი სახეობის ყველს და ნაღულს ამზადებენ, საფირმო სახელით „წიფორა-სამცხე“.

კაჭკაჭიშვილი დარწმუნებული იყო, რომ მისი ბიზნესის განვითარებისთვის მას საწარმოში სურსათის უვნებლობის თანამედროვე სტანდარტები უნდა დაენერგა. მიმდინარე წლის დასაწყისში, საწარმოში საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP - Hazard Analysis and Critical Control Point) სისტემა დანერგა, რომელიც მსოფლიოში აღიარებული საკვების ჰიგიენის მართვის სისტემაა, რითაც ზდება პოტენციური საფრთხეების წინასწარ გამოვლენა და მათი შექმნის ან პრევენცია წარმოების ნებისმიერ ეტაპზე. დღესდღეობით, HACCP-ის დანერგვა რძის გადამამუშავებელ საწარმოებში და სასაკლაოებზე სავალდებულოა.

HACCP-ის სისტემის დასაბრუნებლად, კაჭკაჭიშვილი სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრას დაესწრო, რომელიც ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (CIB) მხარდაჭერით განხორციელდა, რომელსაც ევროკავშირი 14,6 მილიონი

ევროტი აფინანსებს. პროგრამა 2012 წლის გაზაფხულზე დაიწყო. ადგილობრივი საკონსულტაციო კომპანიის დახმარებით, კაჭკაჭიშვილმა HACCP-ის სისტემა დანერგა, რომელიც დაეხმარა მის ბიზნესს სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფაში და საწარმოს მენეჯმენტის გაუმჯობესებაში.

თუმცა მისი ძალისხმევა ყველამ არ დააფასა: „ყველის ჩამოარებული ათი კომპანიიდან მხოლოდ ორმა გააცნობიერა ჩემი ნაწარმის უპირატესობა და იქ დამზადებული პროდუქტის, რომელიც ჰიგიენურ პირობებში იყო წარმოებული და რაც ძალიან მნიშვნელოვანია არ იყო დამზადებული ისეთი ძროხის რძისგან, რომელსაც შესაძლოა ინფიცირებული იყოს“, - განაცხადა კაჭკაჭიშვილმა, - „დანარჩენმა რვა კომპანიამ ამჯობინა ყველი საოჯახო ფერმერული მეურნეობისგან ჩაიბაროს უფრო იაფ ფასად. ასეთი პროდუქტი შესაძლოა ისეთი ძროხის რძისგან იყოს დამზადებული, რომ საქონელს ვაქცინაცია კი არ ჰქონდეს ჩატარებული, რაც ადამიანების ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის“.

იგი დარწმუნებულია, რომ მთავრობამ და დონორმა ორგანიზაციებმა ბევრად მეტი უნდა იმუშაონ საქონლის ვაქცინაციის და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის უპირატესობების წარმოჩენაზე, ისევე როგორც უსაფრთხო და სერტიფიცირებული პროდუქტის წარმოების პოპულარიზაციაზე.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (CIB) მენეჯერმა, **მიხეილ დოლაბერიძემ** განმარტა, რომ ხარვეზები მართლაც ბევრია ამ სექტორში. იგი დარწმუნებულია, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის თანადგომით ბევრი პრობლემატური საკითხი გადაიჭრება.

„ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (CIB) მიზანია დავიცვათ ქართული მომხმარებელი. დავნერგოთ და განვავითაროთ ევროპული დონის სურსათის უვნებლობის

ცხოველთა ჯანმრთელობის და მცენარეთა დაცვის სტანდარტები“, - განაცხადა დოლაბერიძემ.

დოლაბერიძის თქმით, პროგრამის პირველი ფაზის პერიოდში რეკონსტრუქცია ჩატარდა სურსათის ეროვნული სააგენტოს არსებულ შენობას, აღიჭურვა შესაფერისი კომპიუტერული ტექნიკით და სხვა საჭირო ნივთებით, რამაც უზრუნველყო თანამშრომელთა გამართული მუშაობა, როგორც საკვების ინსპექტირების, ისე ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის მიმართებით. მოგვიანებით, რეკონსტრუქცია ჩატარდა ქუთაისის რეგიონულ ოფისს. ასევე, დამატებით აშენდა ორი რეგიონული ოფისი და ამჟამად მიმდინარეობს დამატებით ხუთი ოფისის მშენებლობა.

ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამა, ცდილობს სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების გაზრდას საჭიროებებზე დაფუძნებული ტრენინგების და გაცვლით პროგრამების საშუალებით. ასევე, ეხმარება სააგენტოს თანამშრომლობის გაღრმავებაში ევროკავშირის წევრი ქვეყნების სასურსათო ორგანიზაციებთან. ამასთან, პროგრამის ფარგლებში სააგენტოს თანამშრომლებისთვის შეიძინეს საჭირო აღურვილობა, კერძოდ სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის გასაძლიერებლად.

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი დარწმუნებულია, რომ ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (CIB) სარგებელი არის „მეტად დაცული მომხმარებელი და მეტად ინფორმირებული ბიზნესი“ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების თანამედროვე სტანდარტებზე.

„ჩვენ გვაქვს ამბიცია, მოვანდინოთ ჩვენი სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც საჭიროა იმისთვის, რომ ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციამ ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრება შეძლოს და კონკურენტუნარიანი იყოს. DCFTA-ს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება საქართველოს მისცემს შესაძლებლობას, გააუმჯობესოს საკუთარი სანიტარული და ფიტოსანიტარული, ცხოველთა კეთილდღეობის კანონმდებლობა. რეგორმირების პროცესი იქნება შესაძლებლობა იმისა, რომ ქართული სასურსათო პროდუქცია გავხადოთ უფრო უსაფრთხო, რადგან ევროკავშირის სურსათის უვნებლობის სტანდარტები არის უმაღლესი და უმკაცრესი. ყოველივე ამას კი მხარდაჭერას გვიცხადებს თავად ევროკავშირი,“ - განაცხადა ჩეკურაშვილმა.

ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის საერთაშორისო ექსპერტი ჰენდრიკ კუსკი, რომლის ძირითადი მოვალეობაა საქართველოში ეფექტური სურსათის უვნებლობის, ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობის კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაში მხარდაჭერა, ამბობს რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორის მთავარი გამოწვევა აგროწარმოების გარდაქმნაა საერთაშორისო სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც აღიარებულია ევროკავშირის ბაზრის მიერ.

„ასევე გამოწვევა იქნება ის, განვსაზღვროთ სოფლის მეურნე-

ობის შემოწმება ჩატარდა. ასევე, 2014 წელს 2013 წელთან შედარებით, 10% შემცირდა იმ სურსათის მწარმოებელი ბიზნეს ოპერატორების რიცხვი, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ დაწესებულ რეგულაციებს. ამასთან, თითქმის 40%-ით შემცირდა ვადაგასული პროდუქტის გაყიდვა.

დღეს სურსათის შემოწმებას, მხოლოდ რეგიონულ ოფისებში, 61 სურსათის ინსპექტორი ახორციელებს, რაც საშუალებას აძლევს სურსათის ეროვნულ სააგენტოს უფრო ეფექტურად განახორციელოს კონტროლი, ვიდრე ადრე, როდესაც ინსპექტირების ჩატარება თბილისიდან უწყევდათ.



ბის რომელი ქართული პროდუქტი იქნება მიმზიდველი ევროკავშირის ბაზრისთვის,“ - განაცხადა კუსკმა.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ამბიცია მიზნები დაისახა, კერძოდ ორგანიზაციის ტრანსფორმირება ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ფუნქციონალურ საჯარო უწყებად ქვეყანაში. ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა 2012 წლის შემდეგ.

კერძოდ, სააგენტოში დასაქმებულთა რაოდენობა 228 თანამშრომლიდან 513-მდე გაიზარდა. რეგიონებში სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა რიცხვი კი 11-დან 297 გახდა, რამაც ხელი

დოლაბერიძის განცხადებით, პროგრამა ასევე დაეხმარა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიულ ქსელს, რომ დიაგნოსტიკა და კვლევა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებულიყო. ასევე, პროგრამის დახმარებით დაინერგა საბაჟო გამშვებ პუნქტებზე შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ სურსათის იმპორტის დროს სურსათის უვნებლობის კონტროლი.

კაჭკაჭიშვილი მიიჩნევს, რომ რაც მეტი ინფორმაცია ექნებათ მწარმოებებს თანამედროვე სურსათის წარმოების სტანდარტებზე, მათ შორის ACCP-ზე, მით მეტი




შეუწყო როგორც ჩატარებული ინსპექტირებების რაოდენობის ზრდას, ასევე მის ეფექტურ განხორციელებას. 2014 წელს, საქართველოში რეგისტრირებული 30,000 სურსათის მწარმოებელი ბიზნეს ოპერატორიდან 2,075-ში განხორციელდა ინსპექტირება, მაშინ როცა 2012 წელს მხოლოდ

მეწარმე შეძლებს აწარმოოს უვნებელი პროდუქტი, რაც პოტენციურად ზრდის შესაძლებლობას ქართული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე დასაბრუნებლად.

ავტორი: **თამარ ხურცია**

ვლადიმერ (ლადო) მემკვიდრე - მაღალი კულტურისა და ინტელექტის მსახიობი



ალბათ, იშვიათია მსახიობები, რომელთაც სხვადასხვა ლიტერატურული გმირები ათამდე თეატრში გაუცოცხლებია. ამ იშვიათებში შედის საქართველოს დამსახურებული არტისტი ვლადიმერ (ლადო) მემკვიდრე.

ბატონმა ლადომ სამსახიობო კარიერა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრიდან დაიწყო, სადაც ოცი წლის განმავლობაში იღვაწა.

მანამდე კი, ოზურგეთის მესამე საშუალო სკოლის მეოთხე-კლასელ მოსწავლეს სცენიდან პირველად რომ გადმოუხედავს და პროექტორების შუქზე ზღვა ხალხი დაუნახავს, შეყვებულა, სიმღერა, რომელიც უნდა შეესრულებინა სულ მთლად დაიწვია, კულისებიდან გაუმხნევებათ, უმალ გამოფხიზლებულა და ისე უმღერია, თალი კინაღამ ჩამოუღია ექოს.

„ის გამხნედა, რომ არა, ალბათ, მსახიობი ლადო მემკვიდრე არასოდეს შედგებოდა“, უთქვამს ბავშვობის მოგონებისას.

შობლიური ოზურგეთის თეატრის შემდეგ იყო მოზარდ მაყურებელთა, მუსკოპედიის, მეტენის, მერაბ კოსტავას სახელობის თეატრები, თეატრალური სარდაფი, ნაძალადეგში მდებარე ლიტერატურული თეატრი, ტრაგიკომედიური თეატრი, ვარლამ ნიკოლაძის ყრუ-მუნჯთა თეატრიც კი. ლადო მემკვიდრე ამ თეატრებში ქმნიდა საინტერესო სახეებს, თამაშობდა მთელი არსებით, უმრეტი ენერგიით, რაც მთავარია, დიდი სიყვარულით.

ორი თუ სამი კვირის წინ რედაქციის კარი მორიდებით შემოიღო ჩვენთვის უცნობმა ქალბატონმა, გასხვებდა მინდა გამოვქვეყნო. ტექსტს გადავხედე, მეცნო სახელი და გვარი. ვკითხე, ქალბატონო, თქვენი რა იყო ბატონი ლადო-მეთქი. თვალები აუწყლიანდა, ლადო მმა არის ჩემი (არისო და არა იყო, - როგორი ნათქვამია). მაშინ ქალბატონი ლამარას ვთხოვე ან წერილი მოემზადებინა, ან კიდევ მასალები მოეტანა რომ მხოლოდ იმ გახსენებით არ შემოვფარვლიყავით.

წინა კვირაში მასალები გადმოვკვცა და გვითხრა, 21 ნოემბერი ჩემი ძმის დაბადების დღეაო. ბატონი ლადოს რამდენიმე მოგონება დავეცით, მათ შორის ბავშვობის დროინდელიც:

„მე-3 საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, კარგი მუსიკალური მონაცემები მქონდა და სკოლის გუნდს ვდირიჟორობდი, ჩემი უფროსი და კი გუნდში მღეროდა. ერთხელ ღონისძიების დროს სკოლის დარბაზში ვიღაც შემოვარდა: ომი დაიწყო, იყვინა და ყველა გარეთ გაცვივდა. ძალიან პატარა ვიყავი და დავრჩი სკამზე შესკუპებული, გაოგნებული. მეორე დღეს ქუჩაში ვიღაც გამვლელმა გამაჩერა, გამიღმა და მითხრა: ბიბიკო, შენმა დირიჟორობამ გადარია პიტლერი და მტრად მოგვეკვიაო. ომის დაწყებამდე და დამთავრებამდე ჩემთვის მნიშვნელოვან დღეს მოხდა, რადგან სკოლა სწორედ 1945 წელს დავამთავრე.“

მეორე მოგონება შობლიური თეატრის ბორჯომში გასტროლია, რომელიც პირველი იყო ახალბედა მსახიობისათვის:

„გასტროლზე ვართ ბორჯომში. სპექტაკლის დაწყების წინ დირექტორი მუხებზე, სტუ-

მარი გვეყვას და შენ იცი, როგორ ზურიკლას ითამაშებო. დავინტერესდი, აკაკი ხორავაო, მიპასუხა. ლამის გადავირიე, ფარდა გადავწიე მალულად. რომ დავინახე, ფეხები ამიკანკალდა, ახლავანი, წარმოსადეგი აკაკი ხორავა ლოყაში იჯდა და გველოდა. მე ვერ ვითამაშებ-მეთქი, განვაცხადე, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დამითანხმეს. თავი არ დამიზოგავს, ყვავილების ზღვა და ტანის გრიალი ახლაც მახსოვს. გამუდმებით ხორავასავე ვაპარებდი თვალს. სპექტაკლის შემდეგ მოსალოცად კულისებში ამოვიდა.“

მაყურებელს მსცოვანი მსახიობი, რასაკვირველია, ქართული ტელესერიალებიდანაც ახსოვს. განსაკუთრებით ყველაზე პოპულარული სერიალიდან „შუა ქალაქში“, სადაც ისეთი ნატურალური იუზა განასახიერა, რომ შემდეგ მას მეგობრები, ახლობლები თუ მაყურებლები ლადოს კი არა, იუზას ეძახდნენ.

გასო ჩიგოგიძე, ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:

„ბატონი ლადო პირველი ზურიკლა იყო ჩვენს თეატრში.

დიდი ნოდარ ღუმბაძის „მე ბე-ბია, ილიკო და ილარიონის“ მიხედვით ბატონი ვიგა ლორთქიფანიძის მიერ დადგმულ სპექტაკლში ზურიკლა სწორედ მან განასახიერა, თანაც როგორ, დღესაც რომ ახსოვთ. უდავოდ დიდი არტისტი იყო, სოცრად თავდაბალი, უნიკალური პიროვნება. ერთად არ მოგვეწვია მუშაობა, ვერ კიდევ სტუდენტს მგულშემატკივრობდა, მეფერებოდა, ახალგაზრდა კაცი მოვა თეატრში და ახალ სიოს მოიტანსო. სადაც იღვაწა, ყველგან კვალი ნათელი დატოვა ათწლეულების განმავლობაში იგივე მოზარდ მაყურებელთა თეატრში რეპერტუარი ძირითადად მასზე გადადიოდა.“

ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებამ ბატონი ლადო სიცოცხლეშივე ვარსკვლავად აღიარა, როცა მას, ისევე როგორც ბატონ რეზო თავართქილაძეს, ნოდარ ღუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრის წინ საკუთარი ვარსკვლავი გაუხსნა. ახლა მოდის, ძველებურად მოდის მაყურებელი აქ, თეატრში და ამ ვარსკვლავებს ცოცხალი ყვავილებით ამკობს.

თიმურ მარჯანიშვილი

ფარიკაობა

ინა ჩიქოვანი დ. ხიტირის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის გამარჯვებული

12 ნოემბერს ბათუმში, ყინულის სასახლეში ჩატარდა დ. ხიტირის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. დაშნით ფარიკაობაში 2004-2005 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის (12 მონაწილე) ოზურგეთელმა (შრომა) VIII კლასელმა **ინა ჩიქოვანმა** ყველა მონაწილე დაამარცხა და ტურნირის გამარჯვებული გახდა.

მანვე წარმატებით იასპარეზა უფროს ასაკში, სადაც ერთი ჩხვლეტი დათმო ფინალური ორთაბრძოლა მარიამ გაბელაიასთან - 9:10.



ფეხბურთი

კულოცავთ ჩოხატაურის „ბახმაროს“

საქართველოს რეგიონული ლიგის „ა“ ჯგუფის 2017 წლის ჩემპიონატის გამარჯვებული ჩოხატაურის „ბახმარო“ გახდა. „ბახმაროს“ გუნდმა ბოლო ტურში ჩხოროწყუს „ლეიტივი“ დაამარცხა 2:1 და 68 ქულით I ადგილი დაიკავა.

გამარჯვებული გუნდი თასითა და მედლებით დაჯილდოვდა. მაყურებლის პრიზი **თეიმურაზ შარაშენიძემ მიიღო**. ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის წოდება **ვიგა კვერენჩილაძეს** ერგო.

მომავალი წლის სეზონში „ბახმარო“ ერთი რანგით მაღალ ლიგაში ითამაშებს.

ბორის პაიჭაძის სახელობის

სტადიონზე ფინალურ თამაშს ესწრებოდა გურიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **დავით მუჯირი**, აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ირაკლი თორთლაძე**, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი **ირაკლი კუჭავა**, საკრებულოს თავმჯდომარე **ზაალ მამალაძე** და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები.

რაც შეეხება ოზურგეთის „მერცხალს“, ის ბოლო ტურში საკუთარ მოედანზე ხულოს ხინანთან დაამარცხა 0:1 და 28 ქულით 15 გუნდში 13 ადგილზე გავიდა.



ოზურგეთელი (სოფელი შრომა) მოფარიკაობის წარმატება ბარდაბანში



18 ნოემბერს გარდაბანში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ქალბატონი როზა ჯოლოგუას (აფხაზეთი) ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი 2004-2005 და 2006-2007-2008 წლებში დაბადებულ ვაჟთა და გოგონათა შორის, სადაც პატარებში გამარჯვება მიიპოვა სოფელ შრომის მესუთეკლასელმა მოსწავლემ **ლევან ბოლქვაძემ** (2007), ვაჟებში (2004-2005 წლებში დაბადებულები) III საპრიზო ადგი-

ლზე გავიდა შრომის საჯარო სკოლის მერვეკლასელი მოსწავლე **გიორგი ფუტყარაძე**.

2004-2005 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ოზურგეთელი **ინა ჩიქოვანი** და ბათუმელი **მარი ზოიძე**. ძალზე დაძაბულ ბრძოლაში, 9:8 გაიმარჯვა ბათუმელმა. მარი ზოიძის მწვრთნელია გურამ ალაფიშვილი, რომელიც თავის დროზე ბათუმში გურიის მწვრთნელს **მალხაზ კვაჭაძეს** ავარჯიშებდა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზიანი +2+11 27 ნოემბერი ორშაბათი	მზიანი, ღრუბლიანი +5+13 28 ნოემბერი სამშაბათი	მშვიდი, ნივრები +4+12 29 ნოემბერი ოთხშაბათი	მშვიდი 2+6 30 ნოემბერი ხუთშაბათი	მზიანი +5+11 1 დეკემბერი პარასკევი	მზიანი +7+13 2 დეკემბერი შაბათი	მზიანი, ღრუბლიანი +5+10 3 დეკემბერი კვირა
---	---	---	--	--	---	---